მედიაცია, როგორც კონფლიქტის მოგვარების ალტერნატივა, მისი გამოყენების კერძოსამართლებრივი სფეროები და საკონონმდებლო რეგულირება (შედარებით-სამართლებივი კვლევა)

მინდია ქათამაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ვაშაკიძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მინდია ქათამაძე /_____ / 21.06.2018

აბსტრაქტი

თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის ეკონომიკურმა განვითარებამ და ბიზნესურთიერთობების სიმრავლემ განაპირობა სასამართლო ხელისუფლების გადატვირთვა კერძოსამართლებრივი ხასიათის დავების განხილვისაგან, ამიტომ გაჩნდა საჭიროება შეიქმნას კონფლიქტის მოგვარების ახალი, კიდევ უფრო ეფექტიანი და ყაირათიანი მეთოდი, რათა ერთის მხრივ, მოხდეს სასამართლოს განტვირთვა და კონფლიქტის სწრაფად გადაწყვეტა ხოლო, მეორეს მხრივ, ქვეყანა უფრო მიმზიდველი გახდეს ბიზნესსაქმიანობის კუთხით.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სწორედ საერთაშორისო დონეზე გავითარებულ, კონფლიქტის ალტერნატიული მოგვარების მეთოდს - მედიაციას, რომელიც ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი და ბიზნესის განუყოფელი ნაწილია, იგი ქვეყნის განვითარებაში თავის როლს შეასრულებს.

კვლევის მიზანია, შედარებით-სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით, საერთაშორისო რეგულაციების მიმოხილვით და ისტორიული გამოცდილების გაანალიზების შედეგად მედიაციის ინსტიტუტის უპირატესობის წარმოჩენა კონფლიქტის მოგვარების სხვა ალტერნატივებთან მიმართებით და ამ ინსტიტუტის მომწესრიგებელი ქართული საკანონმდებლო ნორმების ნაკლოვანებების გამოკვეთა.

ფაქტია, რომ დღევანდელ მსოფლიოში სამართლის ამოცანა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანთა თანაცხოვრების შედეგად წარმოშობილი კონფლიქტების სამართლიანად მოწესრიგებით, მას ასევე დაემატა სამართლებრივი დავების სწრაფი, მოქნილი და ორმხრივად სასარგებლო გადაწყვეტა. ყოველივე აღნიშნულმა და ბოლო წლებში საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა განაპირობა საკითხის აქტუალურობა.

საკვანძო სიტყვები: მედიაცია, უპირატესობა, საკანონმდებლო რეგულირება.

Abstract

On a contemporary stage, the economic development of a country and the abundance of business relations resulted in the overload of judicial authority with the deliberation of private disputes. That is why the necessity emerged to create a new, more effective and provident method of conflict resolution in order to lighten the court's workload and resolve a conflict quickly on the one hand and to make the country more attractive with regard to business activities on the other hand.

Master's thesis concerns an alternative way of conflict resolution developed on international level - mediation. It is a crucial component of economic advancement and an inseparable part of business. Mediation will play its role in country development.

The purpose of a research is to depict the advantages of mediation institute over other alternatives of conflict resolution by using comparative-legal methods, reviewing international regulations and analyzing historical experience and also, to highlight the flaws of Georgian legislative norms which regulate this institute.

It is a fact that in nowadays' world, the scope of the law does not envisage only the fair regulation of conflicts emerged from people's cohabitation. It also covers the resolution of legal disputes in a quick, flexible and mutually useful way. All the above-mentioned and the amendments made in Georgian legislation in recent years have conditioned the topicality of an issue.

Key words: mediation, advantage, legislative regulation.